თბილისი, 2024 წელი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

0421.1.1

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 02-2024

18 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით

N 02-2024

18 აპრილი, 2024 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **Master's education program in Law**

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
მაგისტრატურა

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი)

ფართო სფერო
ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი

ვიწრო სფერო
სამართალი

დეტალური სფერო
სამართალი

სწავლის სფერო
სამართალი
სწავლის ხანგრძლივობა
სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობა 4 სემესტრი (2 სასწავლო წელი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
120 ECTS კრედიტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია
სამართლის მაგისტრი **Master of Laws (LLM)**

სწავლების ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე

პროგრამის ხელმძღვანელი
თამთა წირქვაძე, სამართლის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წინაპირობაა **ინგლისური ენის B2დონეზე ცოდნა.** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის, უნივერსიტეტში, სპეციალობაში ჩატარებული შიდა გამოცდისა და ინგლისურ ენაში ტესტირების შედეგები. ტესტირებისგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის **B2დონეზე** ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს. უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, სპეციალობაში გამოცდის ნაცვლად შესაძლოა ჩატარდეს გასაუბრება. თუ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველი ვერ წარმოადგენს ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ სერთიფიკატს, იგი ვალდებულია ტესტირება გაიაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში. **უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება „ევროპაში ენობრივი კომპეტენციის შემფასებელთაასოციაციის“, ALTE–ს (Association of Language Testers in Europe) მიხედვით (www.alte.org).** **B2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა:** **ტოიფელი (TOEFL PBT)ქულათა ოდენობა:არანაკლებ 513 ქულა;** **ტოიფელი (TOEFL IBT)ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა;** **ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა;** **ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)ცოდნის დონე: არანაკლებ FCE** სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მიზანი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

• შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში არჩეული კონცენტრაციის ფარგლებში, საუკეთესო ეროვნული, უცხოური და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით, ან/და შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით;

• გამოუმუშაოს ინოვაციური მიდგომები ნორმის სწორად ინტერპრეტაციის, რთული სამართლებრივი პრობლემების კომპლექსურად შეფასების და საბოლოოდ სამართლებრივი ამოცანის გადასაწყვეტად;

• შესძინოს შესაბამისი სფეროს უახლესი მიღწევების გაცნობისა და მეცნიერულ-თეორიული და პრაქტიკული კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;

• გამოუმუშავოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;

• გამოუმუშაოს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისთვის წერილობითი და ზეპირი ფორმით ქართულ და ინგლისურ ენებზე საკუთარ კვლევის შედეგების და სამართლებრივი დასკვნების არგუმენტირებულად გადაცემის უნარი;

• გამოუმუშავოს სამართლის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას პროფესიული ეთიკისა ნორმების დაცვითა და სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების უნარი.

სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ფლობს ღრმა და სისტემურ თეორიულ ცოდნას კერძო, სისხლის ან/და საჯარო სამართლის სფეროში კომპლექსური ან/და ინტერდისციპლინური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირებისათვის;
- აღწერს ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევებს, ნაციონალური და/ან საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკისა და პრეცენდენტების განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს;
- ხსნის საერთაშორისო სამართლის ან/და ევროკავშირის სამართლის ეროვნულ სამართალზე ზემოქმედების ასპექტებს, ამდენად, განსაზღვრავს შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენების მნიშვნელობას.
- აღწერს სამოსამართლო ეთიკის წესებს და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს.
- ფლობს სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივ მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებსა და აკადემიური ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად წესებსა და და პრინციპებს.

უნარი

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

- ამოიცნობს და კომპლექსურად აფასებს კერძოსამართლებრივ, სისხლისამართლებრივ ან საჯაროსამართლებრივ რთულ პრობლემებსა და იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, ახორციელებს რთული და არასრული ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს, კრიტიკული ანალიზისა და შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით შეიმუშავებს

პრობლემის გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს და აყალიბებს დასკვნებს.

- განმარტების მეთოდის გამოყენებით, კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე, შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ სამართლებრივ ხედვას და განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს;
- გადასცემს საკუთარი კვლევის შედეგებს და სამართლებრივ დასკვნებს, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენებზე;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად წარმართავს კვლევის პროცესს. იფართოებს ცოდნას უახლოესი მეთოდების გამოყენებით პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- პატივს სცემს და აღიარებს პროფესიულ და დემოკრატიულ ღირებულებებს, სამოსამართლო ეთიკის და აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს;
- მართავს კომპლექსურ, არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს და თავისუფლად ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანთა მრავალფეროვან ჯგუფებში. გააჩნია მაღალი დონის პირადი ავტონომია და ანგარიშვალდებულება, შეუძლია პასუხისმგებლობის აღება სხვების საქმიანობაზე და მათ შემდგომ პროფესიულ განვითარებაზე;
- ახორციელებს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზს, ცოდნის გაფართოებას პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზის მეშვეობით, შესაბამისი სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება.

სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზეც. სწავლა-სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლა-სწავლების მეთოდები ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებასაც.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოიყენებოდეს სწავლა-სწავლების ისეთი ფორმები, როგორებიცაა: ლექცია; სამუშაო ჯგუფში მუშაობა; სემინარი; კლინიკა; ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებისას გამოიყენება სწავლა-სწავლების შემდეგი მეთოდები და აქტივობები:

ახსნა–განმარტება – გულისხმობს კონკრეტულ საკითხის განმარტებას და დეტალურ განხილვას; ახსნა-განმარტება ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

შემთხვევის ანალიზი - მიეკუთვნება სწავლების იმ ინტერაქტიულ მეთოდთა რიცხვს, რომლებიც სტუდენტებს რეფლექსური და გადაწყვეტილების მიღებისკენ ორიენტირებული ქცევისთვის განაწყობს. მისი მიზანია, განუვითაროს სტუდენტს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ეს მეთოდი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდთა რიცხვს მიეკუთვნება. ასეთი ტიპის სწავლების დროს სტუდენტები კონკრეტული შემთხვევის ყოველმხრივ განხილვას, ანალიზს, შემთხვევის ცალკეულ ასპექტებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ადგენენ;

დისკუსია/დებატები – გულისხმობს ინტერაქტიულ სწავლებას, რომელიც მიმართულია საკუთარი აზრის მკაფიოდ, ლოგიკურად და დასაბუთებულად გადმოცემის და სხვისი მოსაზრების ოპონირების უნარის ჩამოყალიბება-განვითარებაზე; დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი სტუდენტს უვითარებს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

გონებრივი იერიში - გულისხმობს კონკრეტულ საკითხთან/პრობლემასთან და მის გადაჭრასთან დაკავშირებით აზრის, იდეის ჩამოყალიბებას, ახსნას და დასაბუთებას;
ეს მეთოდი სტუდენტებს საშუალება აძლევს, მონაწილეობა მიიღონ ჯგუფის მუშაობაში, შემოქმედებითად მიუდგნენ საკითხს, თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, იდეები წამოყენებულ საკითხთან ან პრობლემასთან დაკავშირებით.

„გონებრივი იერიშის“ მეთოდის გამოყენების წესები:
ა) მოსაზრებათა გამოთქმის პროცესში თავიდან აცილება ხდება შეფასებითი გამონათქვამების (ლექტორის მიერ პასუხების შეფასების შემთხვევაში მონაწილეები თავს შეიკავებენ ახალი იდეების გამოთქმისაგან);
ბ) ამ მეთოდით შესაძლებელი ხდება რაც შეიძლება მეტი პასუხის მიღება (აზრის გამოთქმისაგან თავის შეკავება იმის მაჩვენებელია, რომ მონაწილეები აანალიზებენ პასუხს და შიშობენ, მათი აზრი სულელურად არ იქნეს აღქმული. ბევრი მოსაზრების არსებობის შემთხვევაში კი მონაწილეები თავისუფლად და ყოველგვარი კომპლექსის გარეშე გამოთქვამენ ახალ იდეებს), რაც ხელს უწყობს აუდიტორიის ჩართულობის გაზრდას;

დემონსტრირება– ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

ლოგიკური ჯაჭვი (მოსაზრება, მიზეზი, მაგალითი, შეჯამება) - ლოგიკური ჯაჭვის მეთოდი გამოიყენება დისკუსიის ან პრობლემებზე მსჯელობისას, როცა არსებობს განსხვავებული პოზიციები. ეს მეთოდი ხელს უწყობს მონაწილეებს მიეჩვიონ მოსაზრებათა არგუმენტირებას და მათ მოკლედ, ლაკონიურად წარმოჩენას.

ჯგუფებში მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს მსჯელობის, დისკუსიების გაძღოლის, კრიტიკული აზროვნებისა და სხვათა დარწმუნების უნარის განვითარებას.

მუშაობა მცირე ჯგუფებში - მცირე ჯგუფებში მუშაობა საკმაოდ ცნობილი მეთოდია, რომელიც სტუდენტებს აძლევს საშუალებას, აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ჯგუფის მუშაობასა და საერთო აზრის ჩამოყალიბებაში, ისწავლონ ერთმანეთის მოსმენა, თანამშრომლობა და ურთიერთშეთანხმება. მცირე ჯგუფებში მუშაობისას მორცხვ მონაწილეებსაც კი უადვილდებათ აზრის გამოხატვა. ამ მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია იმ პრობლემის გადასაჭრელად, რომლის გადაწყვეტაც დამოუკიდებლად ვერ ხერხდება.

მოზაიკა- ეს მეთოდი საშუალებას აძლევს სტუდენტებს დროის მცირე მონაკვეთში მიიღონ დიდი მოცულობის ინფორმაცია და, გარკვეული თვალსაზრისით, წარმატებით ცვლის ცოდნის გადაცემის სალექციო ფორმას. ამ მეთოდის საშუალებით მონაწილეები ასწავლიან ერთმანეთს. ურთიერთსწავლება _ ეს ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა საგნის შესახებ ინფორმაციის მიღების და ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებისა, როგორიცაა რთული მასალის ახსნა, შეკითხვების დასმა, მოსმენა, ურთიერთობა და სხვა.

პრობლემის გადაჭრა - ამ მეთოდით სწავლების შედეგად სტუდენტებს ეცოდინებათ, რა სისტემა გამოიყენება სამართლებრივი პრობლემის გადასაჭრელად. სწავლების ეს მეთოდიკა ავითარებს ისეთ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა: მოსმენის კულტურა, იდეების გაცვლა და სხვა პირთა უფლებების პატივისცემა.

სადისკუსიო პრობლემების/თემების განხილვა - ეს მეთოდი უზრუნველყოფს სტუდენტთა ისეთ ურთიერთობას, რომელიც გულისხმობს აზრებისა და იდეების გაცვლას მასწავლებლის ჩაურევლად და მისი კონტროლის გარეშე. აღნიშნული მეთოდის საშუალებით მონაწილეებს უვითარდებათ ლოგიკური აზროვნების, პრობლემის გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. მოცემული სავარჯიშო საშუალებას აძლევს მათ, გაიაზრონ პრობლემის არსი და დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი.

დაიკავეთ პოზიცია - მოცემული მეთოდი გამოიყენება სადისკუსიო თემის განხილვის დროს. სადისკუსიო პრობლემა გულისხმობს კანონიერი საფუძვლის მქონე ორ ან მეტ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებას, რომელზეც არ არსებობს ზუსტი პასუხი. ეს მეთოდი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სავარჯიშოს სახით ლექციის დასაწყისში, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, გამოთქვან საკუთარი აზრი შესასწავლ თემასთან დაკავშირებით და პრაქტიკაში გამოიყენონ ახალი უნარ-ჩვევები.

წიგნზე მუშაობის მეთოდი - ამ დროს ხდება ფაქტებზე დაყრდნობით კონკრეტული შედეგების მიღწევა. ეს ძირითადად კრიტიკული აზროვნებაა;

ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი - ამ აქტივობას მიეკუთვნება თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ;

თავისუფალი დისკუსია - თავისუფალი დისკუსიის მიზანია, შექმნას ისეთი გარემო, სადაც სტუდენტი მიეჩვევა საკუთარი აზრის არგუმენტირებულ და გამართულ ფორმულირებას. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, სტუდენტი მივაჩვიოთ კრიტიკული აზროვნების ძირითად პრინციპებს. თავისუფალი დისკუსიის დროს ლექტორი ქმნის ე. წ. მართვადი ქაოსის ვითარებას და ცდილობს, სტუდენტებმა, კონკრეტულ წესებზე შეთანხმების გზით, თავად მოახერხონ ვითარების დარეგულირება.

მიმართულებითი დისკუსია - სწავლების მეთოდია, რომლის დროსაც ჯგუფი განიხილავს ერთ კონკრეტულ საკითხს, ლექტორი კი, (შეკითხვების, რეპლიკებისა და თეზისების ფორმულირებით) უზრუნველყოფს დისკუსიის იმ მიმართულებით წაყვანას, რაც კონკრეტული საკითხის საფუძვლიანი შესწავლის ინსპირირებისთვისაა საჭირო. მიმართულებითი დისკუსია ერთგვარი სტიმულია, რომ სტუდენტი დაინტერესდეს საკითხის სიღრმისეული ანალიზით და მისი შესწავლა დაიწყოს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

- სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
- სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის

დანახვის უნარის განვითარებას.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

გონებრივი განტოტვა - ხელს უწყობს პრობლემების იდენტიფიკაციას, მათ შორის იერარქიული დამოკიდებულების დადგენას, ჭეშმარიტი და ფსევდოპრობლემების ერთმანეთისგან გამოყოფას; იმის გააზრებას, თუ რა არის შესაცვლელი არსებულ ვითარებაში და რის გაკეთება შეიძლება რეალურად;

გამოცდილებითი სწავლება იგივე კეთებით სწავლება - პრაქტიკული სტრატეგიაა. ამ სტრატეგიის გამოყენების დროს ხდება ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ექსპერიმენტის ან სიმულაციისთვის. იგი მიზნად ისახავს, რომ მაგისტრებმა შეასრულონ ისეთი ქმედებები, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის ან ჩვევის ფორმირებას. კეთებით სწავლა ეხმარება სტუდენტს აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში, თავად იყოს მისი მონაწილე, მიიღოს ახალი ცოდნა;

თანამონაწილეობითი სწავლების მეთოდი - უზრუნველყოფს სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლის პროცესში და კონსტრუქტივისტული მიდგომის ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ამ თეორიის მიხედვით, სტუდენტი სწავლის პროცესის აქტიური მონაწილეა და არა — ინფორმაციის პასიური მიმღები. ცოდნის მიღებაში კი იგულისხმება ამ ცოდნის კონსტრუირება-აგება სტუდენტის აქტიური თანამონაწილეობით. სტუდენტი უკეთ ითვისებს მაშინ, როდესაც ის ახდენს საკუთარი ცოდნის კონსტრუირებას და საკუთარი გამოცდილების მეშვეობით წყვეტს საკითხს, დავალებას.

ანგარიშის შედგენა - წინა სალექციო მასალის, დისკუსიის, დებატების რეზიუმე და წერილობითი ფორმით ჩაბარება-წარმოდგენა და ა.შ.

შეფასების კომპონენტები და მეთოდები

შეფასების კომპონენტები

- წერითი გამოცდა;
- ზეპირი გამოკითხვა;
- წერითი გამოკითხვა;
- საშინაო დავალება;
- თეორიული სამუშაო;
- პრაქტიკული სამუშაო.

შეფასების მეთოდები

- ტესტი;
- ქვიზი;
- ღია კითხვა;

- ესე/ესეი;
- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე;
- მოხსენებები;
- სასემინარო მოხსენება;
- რეფერატი (წერითი ნაშრომი);
- კითხვა-პასუხი;
- პრაქტიკული დავალების შესრულება;
- თეორიული დავალების შესრულება;
- ჯგუფური სამუშაოს შესრულება;
- დისკუსია-დებატებში მონაწილეობა;
- კაზუსის ამოხსნა;
- შემთხვევის განხილვა/ანალიზი;
- იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა;
- როლური თამაში;
- სიმულაცია;
- აქტიურობა პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას;
- შესრულებული პრაქტიკული სამუშაოების დემონსტრირება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით ითვალისწინებს:

- შუა სემესტრულ შეფასებას (ორი შუალედური გამოცდა);
- დამოუკიდებელი სამუშაოს შეფასება (საშინაო დავალების პრეზენტაცია და იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობა);
- საბოლოო შეფასებას.

შეფასების წესი, ფორმები, კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრება სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორის მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით, რაც აისახება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი, ფორმები და კრიტერიუმები განისაზღვრება **უნივერსიტეტის კანცლერის 2014 წლის 27 მარტის #01-36 ბრძანებით დამტკიცებული „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების“ შესაბამისად (იხ. www. ciu.edu.ge).**
პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და **,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.**
განვლილი სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული საკითხების ათვისება, ისევე როგორც

სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონეტის შეფასება უნივერსიტეტში წარმოებს 100 ქულიანი სისტემით, რომელიც სასწავლო პროცესში ჩართული შეფასების მეთოდების წილისგან შედგება.

შუასემესტრული შეფასება ჯამში მაქსიმუმ 70 ქულის ტოლია. აქედან შუალედური გამოცდის შეფასება 30 ქულაა.
მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შუალედურ შეფასებებში 30 ქულაა.

რაც შეეხება დასკვნით გამოცდას, მისი მაქსიმალური შეფასება 30 ქულაა ხოლო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულის ტოლია.

კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალური შეფასება შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებებით, 51 ქულის ტოლია.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესს, ის ფასდება ერთჯერადად, კომისიის წინაშე სამაგისტრო ნაშრომის დაცვისას. დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი მიიღებს სამაგისტრო ნაშრომისთვის განსაზღვრულ 30 კრედიტს და მიენიჭება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია.

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების **ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).**

აკადემიური ხარისხის/ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

სამართლის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სამართლის მაგისტრის აკადემიური

ხარისხი/კვალიფიკაცია და ეძლევა შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.
სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 120 ECTS კრედიტის დაგროვება.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური GPA, რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი შემდეგი ხარისხის სახელმწიფო ნიმუშის დიპლომს, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად:

- **წარჩინების დიპლომი - GPA 3.5** და მეტი კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით;
- **ჩვეულებრივი დიპლომი - ყველა საგანში დადებითი შეფასება და GPA 3.5-ზე ნაკლები.**

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

დასაქმების სფერო

სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.
სამართლის მაგისტრი მომზადებულია მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად.
სამართლის მაგისტრს შეუძლია საქმიანობა მულტიკულტურულ პროფესიულ გარემოში, დაწესებულების მოქმედების ტერიტორიული არეალის მიუხედავად.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება თეორიული კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსების (A), თეორიული კომპონენტის მოდულების არჩევითი სასწავლო კურსების (B), პრაქტიკული კომპონენტის (C), აგრეთვე კვლევითი კომპონენტისგან (D).

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ელემენტები (120 ECTS)	
(A)	სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - **29 ECTS**
(B)	სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - **46 ECTS**
(C)	პრაქტიკული კომპონენტი - **15 ECTS**
(D)	კვლევითი კომპონენტი - **30 ECTS**

კომპეტენციათა რუქა

№	საგნის კოდი	საგანი	კომპეტენციები		
			ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
		თეორიული კომპონენტი			
		სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	MLAW001	სამართლებრივი კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე)	x	x	
2.	MLAW002	სამართლის ფილოსოფია	x	x	x
3.	MLAW003	სამოსამართლეო ეთიკა	x	x	x
4.	MLAW004	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	x	x	x
5.	MLAW005	ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია	x	x	x
		სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები			
		მოდული – კერძო სამართალი:			
6.	MLAW006	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები და სასამართლო პრაქტიკა	x	x	
7.	MLAW007	სამოქალაქო სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	x	x	x
8.	MLAW008	შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი	x	x	x
9.	MLAW009	კერძოსამართლებრივ დავებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა	x	x	
10.	MLAW010	შედარებითი სანივთო სამართალი	x	x	x
11.	MLAW012	საბანკო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	x	x	x
12.	MLAW011	შედარებითი შრომის სამართალი	x	x	x
13.	MLAW013	შედარებითი ვალაუვალობის სამართალი	x	x	x
14.	MLAW014	მედიაცია	x	x	x
15.	MLAW042	ტექნოლოგიების სამართალი	x	x	x
16.	MLAW039	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	x	x	

		მოდული – სისხლის სამართალი:			
17.	MLAW015	თანამედროვე სისხლის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა	x	x	x
18.	MLAW016	მტკიცებითი სამართალი	x	x	x
19.	MLAW017	ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის პრობლემები	x	x	x
20.	MLAW018	საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულება	x	x	
21.	MLAW019	შედარებითი სისხლის სამართალი	x	x	
22.	MLAW020	საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	x	x	
23.	MLAW021	ინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული	x	x	x
24.	MLAW022	თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	x	x	x
25.	MLAW023	ვიქტიმოლოგია	x	x	x
26.	MLAW024	ნარკოტიკული დანაშაულის კვალიფიკაცია და სასამართლო პრაქტიკა	x	x	x
27.	MLAW046	ადამიანის უფლებათა მონიტორინგი დახურული ტიპის დაწესებულებებში	x	x	x
28.	MLAW040	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	x	x	x
		მოდული – საჯარო სამართალი:			
29.	MLAW025	თანამედროვე საკონსტიტიტუციო სამართლის აქტუალური პრობლემები	x	x	x
30.	MLAW026	თანამედროვე ადმინისტრაციული სამართალი და სასამართლო პრაქტიკა	x	x	x
31.	MLAW030	ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები	x	x	x
32.	MLAW028	ადმინისტრაციული პროცესი და სასამართლო პრაქტიკა	x	x	x
33.	MLAW029	საქმის წარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში	x	x	x
34.	MLAW027	საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპები	x	x	x
35.	MLAW031	ენერგეტიკული სამართალი	x	x	x
36.	MLAW033	ინფორმაციის თავისუფლება და მისი პრაქტიკული ასპექტები	x	x	x
37.	MLAW034	განათლების სამართალი	x	x	
38.	MLAW043	საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი	x	x	x
39.	MLAW044	სოციალური მედიის სამართალი	x	x	x
40.	MLAW045	ევროკავშირის შიდა ბაზრის სამართალი	x	x	x
		პრაქტიკული კომპონენტი:			
41.	MLAW035	იურიდიული კლინიკა / სასჯელაღსრულების კლინიკა	x	x	x
		სამეცნიერო კვლევის კომპონენტი:			
42.	MLAW041	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და სამაგისტრო ნაშრომის დაცვა	x	x	x

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
CAUCASUS INTERNATIONAL UNIVERSITY